# განსხვავებული ხედვები და პოლუსები მეცხოველეობის საკითხებზე

თემურ მარშანიშვილი



ამ კაცს ოზურგეთელები ჩემზე უკეთ იცნობენ. **მერაბ გორგასლიძე** წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ იპოდრომის, შემდეგ კი შპს „მარულას“ თავკაცად. ეს კიდევ ბატონი მერაბის „ჯერსია“ — ინგლისური ფური, რომელიც მსოფლიო მეცხოველეობაში ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშად არის მიჩნეული.

*— ამის ბებო მომცა გურიის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სვიმონიშვილმა. ოთხი თვის მაკეა, ეს მისთვის მეოთხე ხბოობა იქნება. ახლა 12 ლიტრ რძეს მაძლევს, ზაფხულში 18 ლიტრზე ადის. რძე გამოირჩევა მაღალი ცხიმიანობით. მართლაც, შეუდარებელი ჯიშია და, ალბათ, ამიტომ ეძახიან „რძის დედოფალს“, მაგრამ ოზურგეთში ძნელი შესანახია, დღეში მინიმუმ 8 ლარი მაინც უნდა დახარჯო, რადგან ფაქტობრივად აღარსად არის საკვები ბაზა. საერთოდ, საქონელს, რა ჯიშისაც უნდა იყოს ის, პირობები უნდა შეუქმნა, მოვლა-პატრონობა არ უნდა დააკლო. კერძო სექტორი, ცალკეული ფერმერი ამას ოზურგეთში ვერ მოერევა, ვერ შეძლებს თუ სახელმწიფო არ დაეხმარება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ უმეტესობამ, ვინც შეიძინა, იძულებით გაყიდა. ისე, ადვილად ვერ შეელევა კაცი“,* — გვითხა გორგასლიძემ.

ოზურგეთელი ვეტექიმი **თამაზ კილაძე** 58 წელია, რაც დარგში თავისი სპეციალობით მუშაობს. ძირითადად მაინც მის სახელს უკავშირდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მაღალპროდუქტიული ძროხის ჯიშების შემოყვანა. ამ დიდ საქმეს ორგანიზებული ხასიათი მიეცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და „კავკასიის გენეტიკას“ შორის მემორანდუმის გაფორმებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაუქმდა ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“, სა-დაც ბატონი თამაზი გახლდათ მთავარი სპეციალისტი მეცხოველეობის დარგში, ეს მემორანდუმი ფაქტობრივად ჰაერში გამოკიდული დარჩა. ადგილობრივ ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ვეტექიმმა „კავკასიის გენეტიკასთან“ თანამშრომლობა საკუთარი შპს-თი განაგრძო, კერძო სექტორში გადაინაცვლა და ახლა, ძირითადად, აჭარისა და იმერეთის რეგიონებში, ასევე ჩოხატაურის მუ-ნიციპალიტეტში აწარმოებს ფურების ხელოვნურ განაყოფიერებას, გავრცელებული ინფორმაციით, წარმატებითაც.

გამოცდილი ვეტექიმის თქმით, მეცხოველეობას ოზურგეთში პატრონი არ ჰყავს:

*„პირდაპირ ვამბობ, ოზურგეთში მეცხოველეობას პატრონი არ ჰყავს. ჩემი აზრით, მემცენარეობაც ასეთ დღეშია, უბრალოდ, მეცხოველეობაში უფრო ჩანს, რადგან ცოცხალ არ-სებასთან გვაქვს საქმე. რასაც ეგენი აკეთებენ, მაპატიეთ და, იმას მაიმუნობა ჰქვია, წავლეჯაზე, წართმევასა და გამორჩენაზე არიან გადასულები. კომპიუტერთან ჯდომით და ყავის სმით მეცხოველეობა ვერ განვი-თარდება. ავერ ნახავთ თქვენ, თუ ასე გასტანა და არაფერი შეიცვალა, აქედან ორ წელიწადში ოზურგეთში მეცხოველეობა საერთოდ აღარ იქ-ნება და მერე ნახეთ ბაზრისა და პროდუქტების გაძვირება.*

*მეცხოველეობაში, კერძო თუ სახელმწიფო სექტორში, საკვები ბაზაა მთავარი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად საძოვრები არ არსებობს, სოფლებში ყველგან თხილი გააშენეს, ზღვისპირ-თშია ცოტა შემორჩენილი, ჩვენ ალპური საძოვრებით, იალაღებით კი მეზობელი რეგიონის მესაქონლეები უფრო სარგებლობენ. გურულები ამ საქმეში, როგორც სხვა ზოგი-ერთში, მოვიზარმაცებთ ცოტას“.*

▶▶▶ გვ-4


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 8 (10302) 25 თებერვალი 2019 წ. ფასი 60 თეთრი.


## „პრაქტიკულად ჩამკვდარი ეროვნული მოძრაობის ნაწილი უნდა შემოვაბრუნოთ“

### ჰელსინკის ჯგუფის შეხვედრა ქ. ოზურგეთში



**ალიონი.** გასულ პარასკევს ქ. ოზურგეთში ჰელსინკის ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნული პარტიის ოზურგეთისა და ჩოხატაურის წარმომადგენლებს შეხვდნენ საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი **ზურაბ რცხილაძე** და საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის გამგეობის თავმჯდომარე **მზია სულაძე.**

— ჰელსინკის კავშირი აღარ ფუნქციონირებს. 1999 წელს პარტიაში მომხდარი განხეთქილებისას დავტოვე მისი რიგები. შეიქმნა პარალელური პოლიტიკური პარტია „ჰელსინკის კავშირი —აღორძინება.“

ჩვენი მიზანია რეგიონებში შევქმნათ ჰელსინკის ჯგუფები. იგი უკვე შეიქმნა რუსთავში, ფოთში, დღეს ოზურგეთში ვართ. 9 მარტს კი ქუთაისში გაიმართება ანალოგიური შეხვედრა,— აღნიშნა ზურაბ რცხილაძემ.

შეხვედრაზე ჰელსინკის ჯგუფის მიზნებსა და ამოცანებზე მზია სულაძემ ისაუბრა.

— დღეს პრაქტიკულად ჩამკვდ-არი ეროვნული მოძრაობის ნაწილი იქნებ შემოვაბრუნოთ.

დღეს უცხოური ძალები ქართველის წაშლას გეგმავს. პარლამენტი მორჩილებაში ჰყავთ, არასამთავროებს გრანტებს აძლევენ, ხელისუფლებას ქვეყანა არა განვითარებისკენ, არამედ დასასრულისკენ მიჰყავს. უცხო ძალები ჯერ პატარა ერებს დაესივნენ. მათ უნდათ დააჩ-ლუნგონ ქართველი ხალხი და მონის მდგომარეობამდე მიიყვანონ, მაგრამ ვფიქრობთ, თუ კაცობრიობა უნდა გადარჩეს, ქართველებიც უნდა გადარჩნენ.

არავის ინდობენ. ახლა ბავშვებსაც მიადგნენ და საბავშვო ბაღებში სექსუალური „განათლების“ შეტანას ცდილობენ.

სამწუხაროდ, მძიმე მდგომარე-

▶▶▶ გვ-2

## როგორი თვითმმართველობა გვაქვს?

### საჯარო დისკუსია კერძო და სამოქალაქო სექტორს შორის

**ალიონი.** გასულ კვირაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში საჯარო დისკუსია გაიმართა კერძო და საჯარო სექტორებს შორის, რომლის ორგანიზატორი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინს-ტიტუტი იყო. მომხსენებელი IDFI-ის მთავარი იურისტი **ნინო მერებაშვილი.**

ნინო მერებიშვილის თქმით, დისკუსიის მიზანს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საუკეთესო მაგალითების გაცნობა და აღნიშნულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა მოსაზრებების მოსმენა წარმოადგენდა.

**IDFI**-ის კვლევების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ჩართულობა სახელმწიფო დონეზე გაცხადებული პოლიტიკის ნაწილია და მის მნიშვნელობას ნებისმიერი საჯარო მოხელე უსვამს ხაზს, პრაქტიკაში ის არ ხორციელდება, რადგან საქართველოში დემოკრატიული ფასეულობები არ არის სათანადოდ დამკვიდრებული. თუმცა არიან წარმატებული მუნიციპალიტეტები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის თანახმად გამჭირვალობითა და ანგარიშვალდებულების ყველაზე მაღალი ხარისხით გამოირჩევიან **რუსთავის, თე-ლავის, ოზურგეთის მუნიციპალიტ-ეტები.**

მოქალაქეთა ჩართულობასა და კერძო სექტორთან დიალოგის





პრაქტიკაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მრჩე-ველმა **ალექსანდრე ბერიძემ** მხოლოდ რამდენიმე წინადა-დებით შემოიფარგლა და აღნიშნა, რომ მათ აქვთ გარკვეული გეგმები, დემოკრატიულ ღირებულებებზე გურიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ფიქრობდნენ, როცა „გურიის რესპუბლიკა“ შეიქმნა. მან გააკრიტიკა ქ. ოზურგეთის ყოფილი მერი და მუნიციპალიტეტის ყო-ფილი გამგეობა მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით გაწეული მუშაობის გამო.

— მაშინდელ ქალაქის მერიას და მუნიციპალიტეტის გამგეობას რომ ფეხი აეწყო საკრებულოსათვის, ოზურგეთი დღეს თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით პირველ ადგილზე იქნებოდა. 2018 წლის დეკემბერში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, ჩატარდა პირველი სხდომა. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგო-ბები ჩართულია ბიუჯეტში — განაცხადა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა **ლევან ხინთიბიძემ**

საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლირებაზე, ელექტრონულ პეტიციაზე, სმს-ინფორმირებულობსა და საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრების შესახებ ისაუბრა საკრ-ებულოს აპარატის უფროსმა **ნანა თავდუმაძემ:**—

—კარგი და გასათვალისწინებელი მაგალითია საკრებულოში დანერგილი ყველა ის მექანიზმი, რომელიც პარ-ტნიორ არასამთავრობო ორგანიზ-აციებთან ერთობლივი პროექტებით განვახორციელეთ. ინოვაციური მიდგომები ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ, ელექტრონული მექანიზმების დანერგვით შევუწყვეთ ხელი საკრებულოში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, უკვე დავარეგისტრირეთ 9 პეტიცია. ავამაღლეთ ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობის ხარისხი. დღეს, ჩვენ ვაანალიზებთ ყოველივე აღნიშნულს და წინ კიდევ უფრო ამბიციური გეგმები გვავს —აღნიშნა **ნანა თავდუმაძემ.**

—გურულები სიტყვა-პასუხშიც და საქმეშიც მოსწრებულები ვართ. ადგილობრივ პრობლემებსაც ჩვენ მუნიციპალიტეტთან აქტიური თანამშრომლობით ვაგვარებთ. ჩვენი ორგანიზაციის ადვოკატირებით და სამოქალაქო სა-

▶▶▶ გვ-3

# გაზეთი „ალიონი" სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

— მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

— სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

— გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში"
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# ქართულმა დელეგაციამ ნორვეგიის სამეფოში ვიზიტი დაასრულა



ნორვეგიის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა ასოციაციის მიწვევით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ღურჯუმელიძემ**, მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ,** მერის მოადგილემ **ალექსანდრე სურგულაძემ,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **გაიოზ კუჭავამ,** საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (**NALAG**), გურიის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების, ასევე საქართველოს პარლამენტისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, ქალაქ ოსლოში შეხვედრები გამართეს.

დელეგაციის წევრები ნორვეგიის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა ასოციაციის საერთაშორისო პროექტების მრჩეველს - ბიორნ რანგევაერს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ნორვეგიაში - მაია ყიფშიძეს, ასევე ნორვეგიის ადგილობრივი თვითმმართველობის და მოდერნიზაციის სამინისტროს, პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტისა და ნორვეგიის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შეხვდნენ და სხვადასხვა სფეროებში საქართველოსა და ნორვეგიის თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე იმსჯელეს.

# „გუშინ შემპირდნენ, დღეს დაიწყეს"

**ალიონი.** ასკანაში მცხოვრებმა ახალგაზრდა კაცმა დავით კოჩალიძემ რომ კარგი საქმე დაიწყო და მესაქონლეობას მოჰკიდა ხელი, ამის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელმა თეა კუპრაძემ გვითხრა. მანვე მოგვცა დავითის ტელეფონის ნომერიც. ეს იყო 21 თებერვალს. მეორე დღეს ე. ი. გასულ პარასკევს, საგაზეთო მასალის მომზადების მიზნით, დავითს ტელეფონით დავუკავშირდით, რა თქმა უნდა, დავთანხმდა. ძალიან გახარებული ჩანდა და ვკითხეთ მიზეზი:

„ისეთ ადგილას ვცხოვრობ, ორხიდიანი მანქანები ვერ ადიან ბოლომდე. გუშინ მუნიციპალიტეტის მერიაში მივედი, შემპირდნენ დაგეხმარებიო. დღეს უკვე ტრაქტორები გამოგზავნეს და მუშაობას შეუდგნენ".

მამუკა კოჩალიძის ფერმერულ მეურნეობის შესახებ ვრცელ მასალას უახლოეს პერიოდში მოგაწვდით.



# ბეტონის საფარი ეწყობა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს ნასაკირალსა და სილაურის ნასაკირალში რთულ საგზაო მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობაა ჩართული.

სამუშაოების მიმდინარეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი გოჩა აბაშმაძე დაესწრნენ.

# გასწორება

გაზეთის წინა ნომერში, მე-5 გვერდზე გამოქვეყნებული მე-4 საჯარო სკოლის პუბლიკაციებში, წერილზე „ვირტუალურს რეალური მირჩევნია" გამორჩენილია ავტორის გვარი. სტატიის ავტორია **ანასტასია ბოლქვაძე**.

# „პრაქტიკულად ჩამკვდარი ეროვნული მოძრაობის ნაწილი უნდა შემოვაბრუნოთ"

## *ჰელსინკის ჯგუფის შეხვედრა ქ. ოზურგეთში*

ობაა ეკლესიაშიც, სადაც მხოლოდ ქადაგებენ მორჩილებას. როცა მართალი ხარ, სიმართლე უნდა ვთქვათ. ერთმანეთის გატანა უნდა ვისწავლოთ. სულიერი მხნეობაა ჩვენი მიზანი: „მამული, ენა სარწმუნოება." დუმილი უფრო საშიშია, ვიდრე ბრძოლა. ღმერთმა სიტყვით შექმნა სამყარო, ამიტომ სიტყვით უნდა ვიბრძოლოთ, რადგან სიტყვას დიდი ძალა აქვს. უნდა ვიბრძოლოთ ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის – აღნიშნა ჰელსინკის ჯგუფის გამგეობის თავმჯდომარემ.

მზია სულაძე მიგრანტების თემასაც შეეხო და თქვა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კახა სიხარულიძემ მაროკოში ხელი მოაწერა საქართველოში აფრიკის ქვეყნებიდან და საუდის არაბეთიდან მიგრანტების შემოსვლას. პირველ ეტაპზე 200 000 მიგრანტზეა საუბარი.. მიმღები ქვეყანა ვალ-დებულია საზღვართან დაახვედროს ქვეყანაში შემომსვლელს გამზადებული საბუთები, უზრუნველყოს ბინით და სამსახურით.

ამის შემდეგ ზურაბ რცხილაძემ განაცხადა, რომ „ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო უსამართლობასთან ბრძოლაში"..

ადგილობრივებიდან სიტყვებით გამოვი-დნენ საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრი ზაურ კოსტავა და ჰელსინკის ჯგუფის წევრი ვახტანგ მამეიშვილი, რომლებმაც სამართლიანობის აღდგენის თემაზე ისაუბრეს.

# საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ნორვეგიის წარმომადგენლობასთან ერთად რეგიონებში პირველადი დახმარების სასწავლო კურსს მართავს



ამ მიზნით, დღეს წითელი ჯვრის საზოგადოების ჯანდაცვის გუნდმა, სამუშაო შეხვედრა გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართა.

შეხვედრის მიზანი გახლდათ მომდევნო სამწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში, პრიორიტეტების განსაზღვრა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად (კატასტროფების მართვა, ჯანდაცვა და სოციალური მხარდაჭერა, ახალგაზრდული და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარება, სხვ.) და კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ნორვეგიის წითელი ჯვრის დელეგაციას თანამეგობრობის პროგრამის ფარგლებში 18-დან 24 თებერვლამდე მასპინძლობს.

შეხვედრას რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის მერის მოადგილე ირაკლი სირაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, რწმუნებულის ადმინისტრაციისა და საკრებულოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

# ოზურგეთში ძარცვის ფაქტი გახსნილია



20 თებერვალს, ქ. ოზურგეთის ცენტრში ძარცვის ფაქტი მოხდა. 1948 წელს დაბადებულ რუსუდან რამიშვილს, ფულის დახურდავებისას დაბა ნარუ-ჯაში მცხოვრებმა, 1992 წელს დაბადებულმა კ. ტ-მ საფულე გამოსტაცა და მიიმალა. ძარცვაში ეჭვმიტანილი სათვალთვალო კამერების ჩანაწერებით ამოიცნეს და 21 თებერვალს, დილით კ.ტ დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით მან ჩადენილი დანაშაული აღიარა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც „ძარცვას" ნიშნავს.

21 თებერვალს, ოზურგეთის პოლიციის სამმართველოს წინ დაბა ნარუჯიდან დაკავებულის ნათესავები და ახლობლები იყვნენ შეკრებილნი.

# როგორი თვითმმართველობა გვაქვს?"

## საჯარო დისკუსია კერძო და სამოქალაქო სექტორს შორის

ზოგადოების ჩართულობით ოზურგეთის მოსახლეობას დღეს უკვე ელექტრონული პეტიციით სარგებლობა შეუძლია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივები გადადის ფოთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში. ეს ევროკავშირმა აღიარა —აღნიშნა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მენეჯერმა **ოთარ რევიშვილმა.**

—სოფელს უნდა ვთქვათ წისქვილის აღდგენა, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან ობიექტი არ არის არავის ბალანსზე. იავარდქმნილია არაერთი შენობა. თვითმმართველობიდან საჭიროა ამ კუთხით მუშაობა — თქვა მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსმა **გიორგი ინწკირველმა.**

—2017 წელს ქალაქის თვითმმართველობა გაუქმდა და თავზე გადაახიეს საზოგადოებას კანონი თვითმმართველობის შესახებ. პოლიტიკური ნების გარეშე ვერც დეცენტრალიზაციას მივიღებთ — განაცხადა საქართველოს იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპა-იძემ.**

—ჩვენ გვაქვს ისეთი მუნიციპალიტეტი, სადაც თვით-მმართველობა არ არის. საზოგადოებრივი მრჩეველთა საბ-ჭო ფორმალურია. თუ რა აწუ-ხებთ მოქალაქეებს თვით-მართველობის კომპეტენციაც არ არის — თქვა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოზურგეთის ოფისის კოორდინატორმა **გრიგოლ მახარაძემ.**

— „თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობა შინაარსობრივი ტავტოლოგიაა. სიტყვა „თვითმმართველობა" თავისთავად ნიშნავს მოქალაქეების მიერ საკუთარი საქმეების მართვას. მაშ რატომ გვჭირდება თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები? გვჭირდება იმიტომ, რომ ჩვენი თვითმმართველობა სიტყვითაა თვითმმართველობა და რეალურ თვითმმართველობა ძალიან დაშორებულია ბევრი მიზეზის გამო, მათ შორისაა მაგ. მუნიციპალიტეტების ზომა, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ასევე ტერიტორიით და ა.შ. შესაბამისად, თვითმმართველობის ორგანოები დაშორებულია სოფელს. სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების უმეტესობა არ წყდება ადგილობრივ, სოფლის დონეზე, სოფელს არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი. ამ შეხვედრაზე უკვე დაასახელეს გურიის სოფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხები, მათ შორის წიაღისეულის მოპოვება, სოფელში მდებარე ქონების განკარგვა და კაპიტალური პროექტები. პრობლემაც ისაა, რომ არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რომელიც სოფლის მოსახლეობას ჩართავს ამ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში."—აღნიშნა **გრიგოლ მახა-რაძემ.**

ძალიან საინტერესო იყო სათემო კავშირ „იმედის" (სოფ. თხინვალი) წარმომადგენლის **კობა ცერცვაძის** მოსაზრებებიც. იგი რამდენჯერმე გამოვიდა დისკუსიისას.

დისკუსიის დასრულების შემდეგ კობა ცერცვაძეს ვთხოვეთ გაზეთ „ალიონთან" დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრებები დიალოგზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით:

—მიხარია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მოქალაქეთა ჩართულობისა და კერძო სექტორთან დიალოგის პრაქტიკით გამორჩეულია, მაგრამ ეს შეფასება არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას, განსაკუთრებით სოფლის დონეზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც როგორც ერთ-ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, თვითმმართველობა არ არის.



სოფელს არ აქვს ბიუჯეტი, არ ხდება მოსახლეობის აზრის სრულყოფილად შესწავლა, ათეული წლებია არ მოწვეულა სრულფასოვანი საერთო კრება, არ ხდება მოსახლეობის მიერ საკუთარ თემში მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის თუ სპეციალისტის შერჩევა, დასახვეწია საკრებულოს წევრის მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზების, პრობლემების იდენფიცირების, პრიორიტებულობის განსაზღვრის, გადაწყვეტის გზების მოძიების, ბიუჯეტის შედგენის პროცესი.

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის ასამაღებლად შეიძლება გამოყენებული იქნას „პროგრესის სახლის" მიერ შემუშავებული და საკრებულოს მიერ განხორციელებული მოსახლეობისათვის სმს შეტყობინების დაგზავნის სერვისი, რომლის მსგავსად, ყველა სოფელს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი, შიდა მოხმარებისათვის აწყობილი სისტემა, სადაც თითოეულ მოსახლეს ანკეტაში მის მიერ მითითებულ საინტერესო საკითხის შესაბამისად დაეგზავნება ავტომატური შეტყობინება სოფელში მოწვეული საერთო კრების, დეპუტატთან შეხვედრის, თემის წინაშე მდგარი გამოწვევების, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით — აღნიშნა **კობა ცერცვაძემ.**

# დეპუტატები ამომრჩევლებს ანგარიშს აბარებენ



**ალიონი.** სოფელ დვაბზუსა და ცხემლისხიდში შეხვედრებს საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა.

სოფელ დვაბზუს ამომრჩევლებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ დვაბზუს მაჟორიტარ დეპუტატ **როზეტა სკამკოჩაიშვილისაგან** დეტალური ინფორმაცია მოისმინეს საკრებულოში განხორციელებულ საქმიანობის შესახებ, ასევე, ყურადღება გამახვილდა სოფელში განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. მაჟორიტარმა ამომრჩევლებს სოფელში ერთ-ერთი მთავარი პრობლემის, სასმელი წყლით უზრუნველყოფის, დადებითად გადაჭრის შესახებაც განუცხადა. მისი თქმით: *„საქართველოს მთავრობამ მოსახლეობის თხოვნა პრობლემის მოგვარების თაობაზე გაითვალისწინა და მიმდინარე წელს წყლის სისტემის პროექტირება დაიწყება. პროექტის განხორციელდება ორ სოფელში დვაბზუსა და ცხემლისხიდშია დაგეგმილი".*

სოფელ ცხემლისხიდაში გარდა ამ პროექტისა, უკვე განხორციელების ეტაპზეა სოფლების, ბახვი - ვაკიჯვრის და ცხემლისხიდის (ბაღდადი) წყალმომარაგებით უზრუნველყოფის სამუშაოები, რომელსაც რეგიონული განვითარების ფონდის აფინანსებს და



სამუშაოების ღირებულება 9 მილიონ ლარზე მეტია.

სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ლალი სიჭინავამ** გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, იმ სოციალურ პროგრამებზე ისაუბრა, რომლებიც მისი უშალო ჩართულობით შემუშავდა.

—*„ჩემი ცოდნა და უნარები მოვახმარო ხალხს, ეს არის ჩემი დევიზი ცხოვრებაში და ამ პრინც-იპით ჩავები საკრებულოს საქმიანობაში. თქვენს მიერ მონიჭებული ნდობა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს და ვცდილობ იმედი არ გაგიცრუოთ"* — აღნიშნა ლალი სიჭინავამ. ასევე დეტალურად ისაუბრა იმ ყველა აქტივობაზე, რომელიც გასულ წელს მისი ინიციატივით თუ მონაწილეობით მუნიციპალიტეტში განხორციელდა.

სიტყვებით გამოვიდნენ: საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილი,** დეპუტატები **ლელა საჯაია, ნანული ორაგველიძე, მაია ზოიძე.**

# მთავრობა გრიგოლეთში, ურეკსა და ფოთში აზარტული თამაშების განვითარებას ხელს შეუწყობს



მთავრობა გრიგოლეთში, ურეკსა და ფოთში აზარტული თამაშების განვითარებას ხელს შეუწყობს.

აღნიშნულის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კანონპროექტშია აღნიშნული, რომლის განხილვაც საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება.

კერძოდ, პროექტი გულისხმობს ამ ტერიტორიებზე სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის განსხვავებული განაკვეთით დაბეგვრას, ამასთან, სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან გათა-ვისუფლებას ახლად აშენებული არანაკლებ ოთხმოცნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის შემთხვევაში, ნებართვის გაცემიდან 10 წლის განმავლობაში.

როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მიღება დაბა გრიგოლეთში, დაბა ურეკსა და ქალაქ ფოთში აზარტული თამაშების ბაზრის სიმწირის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

„კანონპროექტი ითვალისწინებს ერთი მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაბა გრიგოლეთის ტერიტორიაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიასა და ფოთში სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის განსხვავებული განაკვეთით დაბეგვრას, ხოლო მეორე მხრივ, დაბა გრიგოლეთში, დაბა ურეკსა და ფოთში სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებას ახლად აშენებული არანაკლებ ოთხმოცნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის შემთხვევაში, ახლად აშენებული სასტუმროების ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის ნებართვის გაცემიდან 10 წლის განმავლობაში.

ამასთან „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის შემცირებით/გათავისუფლებით მოგვარდება დასახელებულ ლოკაციებზე ადგილობრივი დასაქმების პრობლემა. გარდა ამისა, კანონპროექტი მიზნად ისახავს სასტუმრო ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული დამატებითი სერვისების (ისეთები როგორიც არის სამორინე) განვითარების ხელშეწყობას აღნიშნულ ტერიტორიებზე, როგორც ახალ აშენებული სასტუმროს, ასევე უკვე არსებული სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღების შემთხვევაში.

კანონპროექტის მიღება აუცილებელია აღნიშნულ რეგიონებში ტურისტული პოტენციალის გაზრდის, ამ გზით საერთაშორისო ვალუტის შემოდინებისა და შესაბამისად ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესის შენელებისათვისც,"- აღნიშნულია კანონპროექტში.

როგორც ცნობილია, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა დადგენილია საქართველოს კანონით. სანებართვო მოსაკრებელის მოცულობა ასე გამოიყურება: სათამაშო აპარატზე 50 000 ლარიდან 1 000 000 ლარამდე; სამორინეს მაგიდაზე მოსაკრებელი 5 000 000 ლარამდეა; აზარტული კლუბის მაგიდაზე 10 000 ლარიდან 50 000 ლარამდე; ტოტალიზატორზე - 30 000-დან 300 000 ლარამდე. რაც შეეხება სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე მოსაკრებელს, მისი მოცულობა 250 000-დან 300 000 ლარამდეა.

შეგახსენებთ, რომ აზარტულ თამაშებზე მოთხოვნის შესამცირებლად, ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 6 წლის წინ გადაწყვიტა, რომ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" კანონში ცვლილებების შეეტანა და რეგულირება გაემკაცრებინა, შესაბამისი ცვლილებათა პაკეტიც მომზადდა, თუმცა, ამ დრომდე კანონპროექტი „დროშია გაჭედილი" და უცნობია, როდის დაამტკიცებს მას პარლამენტი.

# განსხვავებული ხედვები და პოლუსები მეცხოველეობის საკითხებზე



„მაშინ მეცხოველეობა უფრო იყო განვითარებული სახელმწიფოს მიერ. დღეს არაფერია. გლეხს არ შეუძლია, პურის ფული არ აქვს და ძროხას როგორ ეპატრონოს?! პირიქითაა, ერთხანს ძროხა არჩენს, მარა შიმშილისგან რომ გაძვალტყავდება, ერთიც დასამარხი ხდება და მეორეც. სახელმწიფო კი „ხელები დამიბანიას“ როლს ასრულებს“.

ბატონი თამაზის თქმით, მესაქონლეობის ფერმერული მეურნეობა არ არსებობს ოზურგეთში:

„შეიძლება ითქვას, რომ მესაქონლეობის ფერმერული მეურნეობა არ არსებობს ოზურგეთში, არსებობს რაღაც ერთი-ორი ძროხა. აჭარის ხალხი რომ ჩამოსახლდა, დაბა ნასაკირალში იქ არის რაღაც, მაგრამ იქაც უპატრონოა. ნასაკირალი, ნარუჯა და ლაითური ამარაგებს ოზურგეთის ბაზარს მეცხოველეობის პროდუქტებით. ღმერთმა კარგად ამყოფოთ და აჭარელი ხალხი რომ არ იყოს, შიმშილით მოკვდება ოზურგეთი.“

ვეტექიმი ჩვენთან საუბრისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და „კავკასიის გენეტიკას“ შორის გაფორმებული მემორანდუმის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ სამუშაოებსაც შეეხო.

„გახსოვთ თქვენ, რა ღონისძიებები ჩატარდა და რამხელა საქმე დაიწყო, საუცხოო ჯიშები შემოვიყვანეთ, რომლის მიზანი მეცხოველეობის წინსვლა იყო, მაგრამ ვიღაც-ვიღაცეების ხუშტურებმა წყალში ჩაყარა ყველაფერი. ამასაც პირდაპირ გეტყვით, ვინმემ რომ მოიკვლიოს, მეცხოველეობაში ოზურგეთში სისხლის სამართლის დანაშაულობებია ჩადენილი.

თქვენმა გაზეთმა ფართოდ გააშუქა და გეხსომებათ, როგორ მუშაობდა ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“. ლანდრასისა და იოქშირის ჯიშების ღორები შემოვიყვანეთ, მეურნეობა გავაკეთეთ, შედეგიც დავდეთ, მაგრამ ვიღაცის ახირებას შეეწირა ყველაფერი, ა(ა)იპ-ი გააუქმეს და 20 თან-ამშრომელიც უმუშევარი დატოვეს. მერე ის ღორებიც დახოცეს, რაც გოჭები იყო, მე გავეცი უფასოდ და ამით გადავა-რჩინე. ჩემი წამოსვლის შემდეგ კიდევ რა ჰქნეს, იმასაც ნუღარ ჩამომა-თვლ-ევინებ“.

კილაძემ გურიის რეგიონში განვითარებულ ცხოველთა საშიშ დაავადებებზეც გაამახვილა ყურადღება:

„ახლა სურსათის უვნებლობის პრეროგატივაა მაგი. მე მაგათთან კავშირი აღარ მაქვს, უფრო სწორად მაგათმა გაწყვიტეს კავშირი ჩემთან. ფაროსანას სდევენ, ფაროსანა კი რა მდგომარეობაშია, ყველა ხედავს. ხომ გითხარით, მეცხოველეობას არ ჰყავს-მეთქი პატრონი.

ვაქცინაციებს კი აკეთებენ, მაგრამ წამალი რომ შეჰყავთ ორგანიზმში, წარმოდგენა არ აქვთ რა შემადგენლობისაა, ვინ ცრის, მე არ ვიცი. ყველა მოწინააღმდეგეა და არ მინდა თავი შევაძულო.

საბედნიეროდ, ჩვენთან ციმბირული წყლული არ არის დაფიქსირებული, სამაგიეროდ ბრუცელოზის შემთხვევებია ხშირი, რომელიც ადამიანზეც გადადის. ავინი იძახიან ბრუცელოზს ვკურნავთო და რა ვიცი, განკურნებული ჯერჯერობით არავინ მინახავს.

ბრუცელოზით დაავადებული საქონლის ხორციც გამოიყენება თურმე საკვებად, რაც ჩემი აზრით, გაუმართლებელია, რადგან ბრუცელოზი ძალიან საშიში დაავადებაა.

იძახიან, ვაქცინა შემოვიტანეთო, მანახონ ერთი, რა შემოიტანეს, ყველა უცოდინარს ხელში რომ შპრიცი უჭირავს. გურიიდან არც ერთი ახალგაზრდა კაცი არ სწავლობს ამ სპეციალობას.“

საკვები ბაზის უქონლობა რომ მხოლოდ მოსახლეობის ბრალი არ არის და ამაში სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის კვალიც შეინიშნება, ამას ნაწილობრივ მოწმობს თხინვალელი **კობა ცერცვაძის** ნაამბობი:

„სოფელ თხინვალში მოწყობილი მქონდა კომბინირებული საკვების საამქრო, სადაც ხდებოდა ფერმერთა ხელთ არსებული ნედლეულის – ჩალის, სოიოს ნამჯის, ტაროიანი სიმინდის, ყველა სახის მარცვლეულის დაფქვა, დაქუცმაცება, დაკეპვა შესაბამისი ფრაქციების მიღების მიზნით. ამის შემდეგ, ფერმერები თავი-ანთი ნედლეულიდან გადამუშავებული პროდუქციის პარალელურად, საჭი-როების მიხედვით, მეცნიერებისგან მიღებული რეკომენდაციებით, შესაბამისი რეცეპტით, აკეთებდნენ შესაბამის დანამატებს და ღებულობდნენ საჭირო კომბინირებულ საკვებს ცხოველთა სახეობების მიხედვით. ყველა სახეობის ცხოველს, ასაკის მიხედვით მიეწოდებოდა თავისი სპეციფიკური კომბინირებული საკვები, მსგავსი მომსახურება დღეისათვის არც რაიონის და არც რეგიონის მასშტაბით არ მოიაზრება. გლეხს უადვილდებოდასაქმე.

გლეხი ყიდულობს ქატოს, რომელიც არის ხორბლის კილი, ანარჩენები და წიგნის ენით რომ ვთქვათ,შეიძლება გამოვიყენოთ კომბინირებულ საკვებში. ამიტომ გლეხი თავს იტყუებს, ქატო არის ძვირი, უხარისხო საკვებში იხდის ხარისხიანი სიმინდის ფასს.

ამ საქმიანობას ვეწეოდი მიკრობიზნესის სტატუსით და რადგან დიდი რაოდენობით მოდიოდა ხალხი (მეზობელ სოფლებში – ნატანებში, შრომაში, კონჭკათში, ხვარბეთში,მსგავსი დანადგარი არ აქვთ), ამიტომ ვიფიქრე ამის გაძლიერება და გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო პროექტში „აწარმოე საქართველოში“. პროექტში მონაწილეობის მიღების შემდეგ აღნიშნული ქონება დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად. შეფასებულ იქნა ძალიან მაღალ (ოთხმაგი ღირებულება) ფასად, რომელსაც ვერ გადავიხდიდი. სახელმწიფო აქეთ შემომდავა, რომ მის საკუთრებაში ვაწარმოებდი კომერციულ საქმიანობას და იძულებული გავხდი,შემეჩერებინა. ეს გრძელდება უკვე მეორე წელია, ვასაჩივრებ, ეკონომიკის სამინისტროს მივმართე, 60 გვერდზე არის ჩვენი მიმოწერა ასული, მაგრამ შედეგი არ გვაქვს. უანარჩენო წარმოება, რომელიც ემსახურებოდა ფერმერებს, გაჩერებულია სახელმწიფოს არაშესაბამისი პოლიტიკის გამო“.

დავუბრუნდეთ ცხოველთა ჯანმრთელობას , რაც სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. ცხოველებში გადამდები დაავადებების, მათ შორის ზოონოზური (ადამიანისა და ცხოველისათვის საერთო) დაავადებების - ჯილეხის, ბრუცელოზის, ცოფის, ტუბერკულოზისა და თურქულის პრევენციამ, პროფილაქტიკამ და კონტროლმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ჯანსაღი და კეთილსაიმედო პროდუქციის არსებობა. რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შევეცადეთ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელთან,



ქალბატონ ნინო შეწირულთან საუბა-რში გაგვერკვია

**ნინო შეწირული:** „სურსათის ეროვნული სააგენტო და მისი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის გურიის რეგიონული სამმართველო ზრუნავს ქვეყანაში და გურიის რეგიონში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებაზე, ადგენს ცხოველებისა და ადამიანების საერთო საშიში მასობრივი, ასევე ცხოველთა გადამდები დაავადებების გავრცელების მიზეზებს, აფასებს რეგიონისათვის საშიში ამა თუ იმ დაავადების რისკს და შესაბამისად გეგმავს პრევენციის, პროფილაქტიკის, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღო-ნისძიებებს.

სამწუხაროდ, კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ პრობლემურია ცხოველთა ისეთი დაავადებები, როგორიცაა ცოფი, ბრუცელოზი, ჯილეხი, ტუბერკულოზი, ქოთაო,პოქსვირუსებით გამოწვეული ცხოველთა დაავადებები, გარკვეულწილად ცხოველთა ე.წ „ახალი“ დაა-ვადებებიც,მაგალითად, ნოდულარული დერმატიტი, ღორის აფრიკული ცხელება.

მოსახლეობისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, თქვენი ნებართვით, ცოტა ვრცლად ვისაუბრებ ამ დაავადებებზე.

***ჯილეხი.*** განსაკუთრებით საშიში ზოონოზური ინფექციური დაავადებაა, გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით. ავადდება მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. დაავადება იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, ცხოველის დაავადების ყოველი ახალი შემთხვევის შემდეგ იქმნება ახალი ნიადაგობრივი კერა და რისკი რჩება ათეული წლების განმავლობაში. დაავადებული ცხო-ველებთან კონტაქტით და მათგან მიღებული ცხოველური პროდუქტით ავადდებიან ადამიანები, რასაც შესაძლოა ლე-ტალური შედეგი მოჰყვეს.

***ცოფი.*** ზოონოზური, ვირუსული ინფექციური დაავადებაა. ცოფით ავადდება ყველა თბილსისხლიანი ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. ცხოველისა და ადამიანის დაავადება ყოველთვის ლეტალურად მთავრდება.

***ბრუცელოზი*** ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა. ბრუცელოზით ავადდება მრავალი სახის ცხოველი, ადამიანიც. ბრუცელოზით დაავადებული ცხოველებიდან მიღებული რძის და რძის პროდუქტების მიღება, ასევე დაავადებულ ცხოველთან კონტაქტი შესაძლოა გახდეს დაავადების გავრც-ელების წყარო. თურქული. წყვილ-ჩლ-იქიანი შინაური და გარეული ცხოველების მაღალკონტაგიოზური, ვირუსული ინფექციური ტრანსსასაზღვრო დაავადებაა (ბუნებაში არსებობს ვირუსის მრავალი ტიპი და სეროტიპი). აუცრელ ცხოველებში ვრცელდება სწრაფად, იწვევს მოზარდის სიკვდილიანობას, წველადობის შემცირებას და შესაბამისად მეცხოველეობის პროდუქციის დეფიციტს. უარყოფითად მოქმედებს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე (დაავადების აღმოფხვრამდე ქვეყნიდან იზღუდება ექსპორტი და ტრანზიტი).

***ნოდულარული დერმატიტის დაავადება.*** ვექტორული წარმოშობის ვირუსული ძნელად აღმოსაფხვრელი დაავადებაა. ვრცელდება მწერის ნაკბენით და ახასიათებს კვანძები კანზე და სხეულის სხვა ნაწილებზე. ტრადიციულად გვხვდება აფრიკაში, თუმცა ახლა უკვე გავრცელებულია ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებში და არაენდემური (ახალია) საქართველოსთვის, შესაბამისად გურიის რეგიონისათვის და იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. დაავადება, ეპიდემიის შემთხვევაში, შეიძლება გავრცელდეს მთლიანი პოპულაციის 10%-45%-ში და ფატალურად შეიძლება დასრულდეს მთლიანი შემთხვევების 10%-მდე.

***ქოთაო.*** კენტჩლიქიან ცხოველთა (მაგ., ცხენების) ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ბაქტერია.ზოონოზია. ზოგჯერ გადადის ადამიანზეც კონტაქტური გზით. დაავადება ხასიათდება სპეციფიკური გრანულომებით, ნეკროზით, ქსოვილების დაჩირქებითა და ინტოქსიკაციით. მიუხედავად იმის, რომ საქა-რთველოში სახორცე ჯიშის ცხენების მოშენება არ არის აქტუალური და ცხენის ხორცი არ გამოიყენება მასიურ საკვებად, ცხენი, აუცილებლად უნდა გაისინჯოს ქოთაოს დაავადებაზე (მალეინიზაცია). დღევანდელი აქტუალური თემიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დაავადების შესახებ ინფორმაციულობა საზოგადოებაში ძალზედ მნიშვნელ-ოვანია.

***ღორის აფრიკული ცხელება.*** ინფიცირდება შინაური და გარეული ღორები. ზოგიერტ შტამს შეუძლია ცხოველი ინფი-ცირებიდან ერთ კვირაში მოკლას. 2006 წელს იყო აფეთქება

ბარემ იმის შესახებაც, რა გაკეთდა დაავადებების პრევენცია-პროფილაქ-ტიკისათვის გურიის რეგიონში.

2012 წლიდან სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს ცხოველთა იდენტიფიცირებას და ამავდროულად მათ ვაქცინაციას. გურიის რეგიონში დღეისათვის იდენტიფიცირებული და რეგისტრირებულია 56 000 მსხვილფეხა და 11 000 წვრილფეხა პირუტყვი.

2018 წელს ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია განხორციელდა მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით. კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გასულ წლებში დაფი-ქსირებული ადამიანის დაავადებისა და ნიადაგში აღმოჩენილი დაავადების აღმძვრელის გამო, არაკეთილსაიმედო ტერიტორიებზე (კერებში), 2012 წლიდან დღემდე ხორციელდება ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია/რევაქცინაცია. 2018 წელს განხორციელდა 800 ცხოველის ვაქცინაცია/რევაქცინაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე რეგიონში არ დაფიქსირებულა ცოფის დაავადება, დაავადების აქტუალობიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, 2018 წელს ჩატარდა ცოფის მაღალამთვისებელი ცხოველების მასიური ვაქცინაცია. სულ აიცრა 30 000 მდე შინაური ცხოველი. მანამდე, 2015 წელს ლანჩხუთის მუნუციპალიტეტში მსხვილფეხა რქოსან პირუტყვებში დაფიქსირდა ცოფის მასიური დაავადებები (15 შემთხვევა,.აფეთქება). აფეთქების მიზეზების დასადგენად ჩატარდა კვლევა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, 2016 წელს გურიის რეგიონში ცოფის ვაქცინაცია განხორციელდა მსხვილფეხა პირუტყვში, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო და დღემდე დაავადება არ ფიქსირდება.

***თურქულის*** დაავადებაზე არსებული სტაბილური ეპიზოოტიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, 2018 წელს თურქულის საწინააღმდეგოდ წლის პირველ და მეორე ნახევარში პროფილაქტიკური ვაქცინაციის დროს აიცრა 50 000 მსხვილფეხა რქოსანი და 5000 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

***ბრუცელოზის*** დაავადების შემცირებისა და მისი საბოლოო ელიმინაციისათვის საჭიროა რამოდენიმე ათეული წელი ამიტომაც დაავადების საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიებების (სერომონიტორინგი, ვაქცინაცია) გატარ-ებას აქვს დიდი მნიშვნელობა. 2017 წელს გურიის რეგიონში განხორციელდა მასიური სერომონიტორინგი. კერძოდ, ბრუცელოზზე გამოკვლეული იქნა 28 000 მსხვილფეხა პირუტყვი. დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა750 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა 90 % დაიკლა სანიტარული ნორმების შესაბამისად. 2017 წელს განხორცილებული აქტიური ზედამხედველობის კამპანიისა და შესაბამისი გამაჯანსაღებელი ღონი-სძიებების შემდეგ, 2018 წელს დაიგეგმა მსხვილფეხა პირუტყვის მასიური პროფილაქტიკური ვაქციანაცია ბრუცელ-ოზზე. სულ რეგიონში ვაქცინირებულია 8000 მრქოსანი პირუტყვი.

რეგიონისათვის ნოდულარული დემატიტის დავადება ახალია და მისმა დაფიქსირებამ 2016 წელს გამოიწვია ათეულობით პირუტყვის დაცემა. შესამამისად რისკის ანალიზის საფუძველზე 2017 წლიდან გურიის რეგიონში იძულებითი და პროფილაქტიკური ღონისძიების დროს მოხდა რეგიონში არსებული სულადობის ვაქცინაცია. ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ 2018 წელს ვაქცინირებულია 45 000 მსხვილფეხა პირუტყვი;

ბოლო წლებში გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად, მინიმუმამდე შემცირდა დაავადებების გავრცელების რისკი და ზოონოზური დაავადების შემთხვევების გამოვლინება ადამია-ნებში.

და ბოლოს, სურსათის უვნებლობის, მიკვლევადობის, კონტროლისა და მექანიზმების შესახებაც გეტყვით რამდენიმე სიტყვით. სურსათის ეროვნულ სააგენტოს ამ მხრივ სახელმწიფო კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები აქვს, ეს არის ინსპექტირება, დოკუმენტური შემოწმება, მონიტორინგი და ნიმუშის აღება. ყოველწლიურად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოწმდება სხვადასხვა მიმართულების საწარმოები, საბავშვო ბაღები, სკოლები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მიკვლევადობა ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია , რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რას მივირთმევთ, სად არის წარმოებული, ვინ არის ბიზნესოპერატორი და რა პირობებში ამზადებს ის პროდუქციას. ყოველწლიურად გეგმა იზრდება, ასევე მოთხოვნები ბიზნეს ოპერატორების მიმართ. ხორცისა წარმოება და რეალიზაცია გურიის რეგიონში მაღალ დონეზე გვაქვს კონტროლებული, შემიძლია თამამად ვთქვათ, რომ ცხოველთა სასაკლაოები იცავენ დადგენილ ნორმებსა და ხორცის სარეალიზაციო პუნქტებში გვაქვს კარგი ხარისხის პროდუქტი, ასევე გვაქვს სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანილი საბავშვო ბაღის სამზარეულოები. ვფიქრობ ეს მართლაც დიდი მიღწევაა დღეის მდგომარეობით;

# ოქროს მედლების ცვენა მე-2 საჯარო სკოლაში



18 თებერვალს ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში გამართული ღონისძიების ამსახველ ამ პატარა საგაზეთო პუბლიკაციას სხვა სათაურს ნამდვილად ვერ დავარქმევდი.

2017-2018 სასწავლო წლის 14 კურსდამთავრებულს – **ანანო მჟავანაძეს, სალომე ვადაჭ-კორიას, მარიამ ნიკაბაძეს, მარიამ გიორგაძეს, ტატო შარაძეს, მარიამ ჩანტლაძეს, რეზო ურუშაძეს, ქეთი ჯაფარიძეს, ნინო ქორიძეს, მარიამ შევარდნაძეს, მარიამ ჩავლეშვილს, რეზო სარიშვილს, მარიამ ხინთიბიძეს, ნინო კალანდარიშვილს** საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებით დასრულების დამადასტურებელი ოქროს მედალიონის სერტიფიკატები და ოქროს მედლები.

დაჯილდოების ცერემონიალს კურსდამთავრებულები თავიანთ საკლასო ოთახში საკუთარ მერხზე დამსხდარები შეხვდნენ.

დაჯილდოების საპატიო მისია სკოლის დირექტორს, ქალბატონ ფატი სიორიძეს ერგო.

**ფატი სიორიძე:** –*„მოხარული ვარ, რომ დღეს ერ-თად ვართ ამ თქვენს საკლასო ოთახში. როგორც იცით, 2007 წლიდან მოსწავლეები, ვინც მე-10, მე-11, მე-12 კლასებს წარმატებით ამთავრებენ, ანუ ვისაც ყველა საგანში წლიური შეფასება აქვთ ათი ქულა, ჯილდოვდებიან ოქროს მედლით. გასულ სასწავლო წელს თქვენ 14 კურსდამთავრებულმა ასახელეთ მშობლიური სკოლა და ოქროს მედლები დაიმსახურეთ. ჩოტა დაგვიანდა მედლების გადმოცემა, მაგრამ ფაქტია, რომ რაც დაიმსახურეთ მიიღეთ. გილოცავთ ამ პირველ მაღალ ჯილდოებს. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ, თქვენი მომავალი სპეციალობებით, ღირსეულად იტყვით, თქვენს სათქმელს ქვეყნის უკეთეს მომავალს შექმნაში“.*

უპრეცედენტო ფაქტი: 14 მედალოსნიდან 11 იმ კლასიდანაა, რომელსაც პედაგოგი იზო სიხარულიძე ხელმძღვანელობდა:

**იზო სიხარულიძე:** –*„ვაღიარებ, რომ ეს თაობა თავის სიტყვას იტყვის ქართული საზოგადოების წინაშე. უზომოდ გახარებული ვარ, რომ ჩემმა კლასმა 11 ოქროს მედალი დაიმსახურა. დღეს აქ 10 გამოცხადდა ერთი ამერიკაშია და ვერ ესწრება ჩვენს დღევანდელ ღონისძიებას. დამერწმუნეთ, ეს ის ახალგაზრდებია, რომლებიც ცოტა ხანში გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ჩვენი ქვეყნისთვის, ხალხისთვის საჭირო და აუცილებელდარგებში. ოზურგეთს და საქართველოს ამათი სახით ძალიან კარგი შევსება ექნება“.*

ვულოცავთ მილოცვებს და წარმატებებს ვუსურვებთ მედალოსან კურსდამთავრებულებს და აქვე დავძენთ: თუ კურსდამთავრებულისა და მასწავლებლის სიყვარულის ხილვა გინდათ, თუ ნამდვილი ბედნიერებით აღტაცებული სახეების ხილვა გსურთ, შეიარეთ ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში, დაესწარით აქ ასეთ ღონისძიებებს.

**თემურ მარშანიშვილი**

# ლადო აფხაზავა „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ 10 ფინალისტს შორის

ლადო აფხაზავა „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ 10 ფინალისტს შორის დასახელდა. მას წარმატება სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიულოცეს და საზეიმო დახვედრა მოუწყვეს.

ლადო აფხაზავას წარმატება ასევე მიულოცეს გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **ზურაბ ნასარაიამ**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, პროექტის ორგანიზატორებმა და რესურსცენტრის ხელმძღვანელმა.

ფინალისტები ჰოლივუდელმა მსახიობმა ჰიუ ჯეკმანმა დღეს გამოაცხადა. მასწავლებლის გლობალური ჯილდოს ფინალში ლადო აფხაზავასთან ერთად არიან: დებორა გურაფლო - ბრაზილია; დეიზი მერტენს - ნიდერლანდები; ენდრიუ მოფეტ - დიდი ბრიტანეთი; სვარუპ რავა - ინდოეთი; მელისა სალგუერო - აშშ; მარტინ სალვეტი - არგენტინა; იასოდაი სელვაკუმარან - ავსტრალია; ჰიდიკაზუ შოტო - იაპონია; პიტერ ტუბიში - კენია. ფინალისტები 179 ქვეყნის 10 000 განაცხადიდან შეირჩნენ.

გამარჯვებული დუბაის განათლებისა და უნარების გლობალურ ფორუმზე მიმდინარე წლის 24 მარტს გამოვლინდება და პრიზის სახით მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

ლადო აფხაზავამ „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" 2017 წელს მოიპოვა და ამის შემდეგ წარადგინეს „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს" კონკურსში, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებელს არჩევს.



# ოზურგეთელი მოსწავლე თიბისი ბანკის სტიპენდიატი გახდა



„თიბისი ბანკი“ წლების განმავლობაში მხარში უდგას ქართულ კულტურას, აფინანსებს ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლასა და განვითარებას, საზოგადოებრივად საჭირო პროექტებს. „თიბისი ბანკის“ სოციალური და კულტურული პროექტების ფარგლებში ერთწლიანი სტიპენდიით დაჯილდოვდა ნიჭიერი მოსწავლეებიც. მათ შორის არის შემოქმედელი **მარიამ გარაყანიძე**. დანარჩენს მა-რიამი თავად გვიამბობს:

—მე ვარ მარიამ გარაყანიძე. 17 წლის. ვსწავლობ შემოქმედის საჯარო სკოლაში. მე-12 კლასში.

**- როგორმოხვდი თბს ბანკის სტიპენდიატების სი-აში?**

- მასწავლებლისეროვნული ჯილდოს პირველმა მფლობელმა, ბატონმა ლადო აფხაზავამ წარმადგინა ლანჩხუთელ 4 მოსწავლესთან ერთად.

**- წარდგენა საკმარისი იყო თუ კონკურსიც გაიარე?**

- ნომინირებით მოხდა ჩემი შერჩევა.

**- ლადო აფხაზავას საიდან იცნობ?**

- მე აქტიურად ვმონაწილეობ „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის'' პროექტებში. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში გავიცანი ბატონი ლადო აფხაზავა.

**- როგორ აფასებ ჩვენი მოსახლეობის, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობას? საკმარისად არიან ჩართულები სამოქალაქო ცხოვრებაში?**

— ახალგაზრდები, ძირითადად, ერთვებიან სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში. საკუთარი ინიციატივით კი ნაკლებად. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მდგომარეობაც შეიცვლება და ახალგაზრდები უფრო მეტად გააქტიურდებიან.

**—მარი, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

—სწავლის გაგრძელებას სოციოლოგიის კუთხით ვაპირებ, რადგან ვფიქრობ, რომ ამ სფეროში მუშაობა საშუალებას მომცემს დავეხმარო ადამიანებს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში.

**—რამდენად ადაპტირებულია გარემო შენთვის?**

— ეტლით მოსარგებლეებისთვის გარემო არ არის ადაპტირებული და ვფიქრობ ამ საკითხს სახელმწიფო სერიოზულად უნდა მიუდგეს. ოზურგეთში ალბათ სულ რამდენიმე დაწესებულებაა, სადაც თავისუფლად შეიძლება გადაადგილება.

**—შენი ხასიათის რა თვისებები გეხმარება წარმატების მიღწევაში?**

— ვფიქრობ, წარმატების მიღწევაში ყველაზე მეტად მეხმარება მიზანდასახულობა, შრო-მისმოყვარეობა და ყველაზე მნიშვნელოვანი ოპტიმიზმი, განცდა იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**— ალბათ შენიპოზიტიური განწყობა მშობლების დამსახურებაცაა? მშობლები შენი მეგობრებია თუ უფრო მასწავლებლები?**

—სწორედ, ისინი არიან პოზიტიურები და მოწადინებული, რომ ვიყო აქტიური.ეს განწყობა კი მეც გადმომდეს. მინდა, რომ იმედები გავუმართლო მათ. მათ ჩემთვის არასდროს უგრძნობინებიათ, რომ მე რაიმე ვერ შევძლებ.ისინი ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობრები არიან. მაძლიერებენ მე და პირიქით.

**— რას ურჩევდი ადამიანებს, როგორ გახდნენ წარმატებული?**

— თუ გსურთ გახდეთ წარმატებულები იყავით თავდაჯერებულები.მიზნად დაისახეთ ისეთი რამ, რაც ყველაზე მეტად გსურთ.

წარმატებებს ვუსურვებთ პატარა, მიზანდასახულ ქალბატონს და ყველას, ვინც მის რჩევას გაითვალისწინებს.

ესაუბრა **ლია კილაძე**

# ნარუჯის საჯარო სკოლის ეკოკლუბის მორიგი წარმატება



დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის ეკოკლუბი მესამე წელია ჩართულია ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში, მესამე წლია ნახევარ ფინალის მონაწილეები ვართ, ამ პერიოდის განმავლობაში ასობით გარემოსდაცვითი აქტივობები განვახორციელეთ, წლევანდელი სასკოლო კონკურსის მთავარი თემა: „მდგრადი განვითარების მიზნებია'', კონკურსის პერიოდში მდგრადი განვითარების მიზნების ირგვლივ გავერთიანდით და 17-ივე მიზანს გარკვეული აქტივობა მივუძღვენით მაგრამ მთავარი აქცენტი მდგრადი განვითარების მე-15 და მე-17 მიზანზე გავაკეთეთ, ყველა ცოცხალი ორგანიზმი და განსაკუთრებით ადამიანი დედამიწაზე არსებულ ფორმებზეა დამოკიდებული, მას სჭირდება სუფთა წყა-ლი, სუფთა ჰაერი ჯანსაღი საკვები, დედამიწის ეკოსისტემის დაცვა აღდგენა გამოყენება ტყეების გონივრული მართვა, შევისწავლეთ ადგილობრივ პირობებში გავრცელებულ ყველანაირ მცენარე მათ შორის სამკურნალო მცენარეები, გავეცანით მნის ეკოსისტემას, მოვაწყვეთ გამწვანების აქცია, ნიადაგის აღდგენა გაუმჯობესებაზე, მრავალფეროვანი აქტივობებით აღვნიშნეთ ბიომრავალფეროვნების დღე, დედამიწის დღე...ეკოკლუბში მუშაობამ თითოეულ ჩვენთაგანში გარემოსადმი ცნობიერება რადიკალურად შეცვალა გვასწავლა გუნდურობა, თანამშრომლობა და რაც მთავარია მორალური პასუხისმგებლობა აგვიმაღლა. ჩვენი ეკოკლუბი აქტიურად აგრძელებს ნიკო კეცხოველის კონკურსში მონაწილეობას, რადგან წინ ახალი იდეები და ახალი მიზნები გვაქვს, ჩემო მეგობრებო მოდი ყველა გაზაფხულზე ერთი ხე დავრგოთ, ერთი თესლი მიწას მივაბაროთ, ყველა გავვეროიანდეთ ერთი მიზნისათვის—დავიცვათ გარემო ადამიანის კეთილდღეობისათვის მდგრადი განვითარების მე-17 მიზანიც ხომ ამასითვალისწინებს . ყველა პატარა მცენარეს მივცეთ სიცოცხლის საშუალება, რაგან იგი ხვალ ფესვმაგარ და ძლიერ ხედ გადაიქცევა იშრიალოს იგუგუნოს ტყეებმა რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ბიომრავალფეროვნება

ეკოკლუბის წევრები:

**ინდირა ჭარალიძე**

**ლაშა კახაძე**

# მარადონას ჯერსი

ვეტექიმ თამაზ კილაძეს მკითხველთან განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ფურების ხელოვნურ განაყოფიერებაზე მუშაობს თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში. ჰოდა, ინტერვიუს ვაკეთებ თამაზთან. ჩოხატაურის ამბავს მიყვება, თუ როგორ ამოიცნო ხბო.

— ჩოხატაურში ვიყავი გუშინ ერთ ოჯახში და ამას ჰკითხე (თავის მეგობარ მძღოლზე მეუბნება), როგორ ვიცანი მარადონას ჯერსი.

— მარადონას ჯერსი რაღაა? — ვკითხე.

პირში თუ მეტეკე, ვერ გაიგებ, დეითქვი სული და გეტყვი: ხბო დავინახე ეზოში, ვიცანი და ვიკითხე — ეს ჯერსი საიდან-მეთქი?

— მაი აგერ ვიყიდე გორაბერეჟოულში, - მიპასუხა მასპინძელმა.

— ვისგან, მარადონასგან-მეთქი?

— შენ საიდან იციო? — გეიგიჟა თავი.

— რაფერ საიდან ვიცი, ჩემი დანერგილი ხბოია მაგი, კითხე მარადონასმეთქი. არგენტინაში არ გამიგზავნია, მარადონას ეძახიან გორაბერეჟოულში იმ ხბოის ყოფილ პატრონს.

**თემურ მარშანიშვილი**

# ფოტოგრაფმა მასზე თავდამსხმელი ზვიგენი გადაიღო



26 წლის ავსტრალიელი ფოტოგრაფი და დაივერი ლიუკ ტომი, თავისი შემზარავი და საშიში ქმედების წყალობით სოცქსელების ვარსკვლავი გახდა.

ახალგაზრდა კაცს ისე უნდოდა ახლოდან გაეკეთებინა თეთრი ზვიგენის ფოტო, რომ რისკზე წავიდა. როცა შეამჩნია, რომ ზვიგენი უახლოვდებოდა, ლიუკმა მას კამერა ხელით ცხვირწინ მიუტანა და ... შეძლო რამდენიმე კადრის გადაღება.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა ზვიგენის კბილებს გადაურჩა როგორც კამერა, ისე ფოტოგრაფის ხელი, კადრები კი მართლაც არაჩვეულებრივი და უნიკალური გამოვიდა.

მომზადებულია **mail. ru**-ს მიხედვით.

# სულთათანა

უახლესი მეგობრები კლარა თავართქილაძე, მედეა ჯიქიძე, გულსუნდა მახარაძე, ომარი დიდმანიძე ოჯახებით იუწყებიან **ზაირა ღულაძე-კოპლატაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ,,ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველს მანანა ლომაძეს დის **თინა ლომაძის** გარდაცვალების გამო.


## ი.მ. ზურაბ მენაბდე

**მიწის აზომვითი ნახაზებისა და შენობების ტექნიკური პასპორტების მომზადება (ელექტრონული ვერსია)(შესაძლებელია განვადებით).**

**მობ. 599 19 11 92**

**მისამართი: ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4**

## იყიდება

**ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე 2-სართულიანი, კეთილმოწყობილი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. აქვს გარაჟი, ეზო 500 კვ.მ. დაგვიკავშირდით: (591) 15 57 57.**


# სკანვორდი



მცირე ზომის ლიტ. ნაწარმოები
კარავი
მშრალის ანტიპოდი
თანამდებობა, წოდება
უღელტეხილი
ფილიპინების დედაქალაქი
მე-3 პირის ნაცვალსახელი
მარხილი
გულშემატკივარი
სოფელი აბაშის მუნიც-ში
ტოლსტოის გმირი ქალი
უსასრულობის ნიშანი
უხილავი
კოპიტი
მე-13 ასობგერა
მე მეგრულად
დიახ
ყოფილი განათლების მინისტრი
ანტიკური ლიტერატურული ჟანრი
კიდობნის ამგები
მწერალი სასამართლოში
სწრაფად რო ტრიალებს
წყალქვეშა კლდე
ფერთ მრავალფეროვნება
წუნეთელი გმირი ქალი
ქალის სახელი
ჩამონათვალი
ბგერის წერითი ნიშანი
მამაკაცის ტანსაცმელი
პატარა მდინარე ციმბირში
მეორე კოსმონავტი
წამებული არაბი
ყველაზე მსხვილი ალმასი
მამაკაცის სახელი
ჩანგალი
ტბა თბილისში
სახელმწიფოებრივი მოვალეობა
ბელორუსი მწერალი
დროის საზომი

## № 7-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — რაბინ დრანათ თაგორი; თვალის დაავადება — ამეტროპია; ამომავალი მზის ქვეყანა — იაპონია; ქულა ძიუდოში — შიდო; თეატრალური ჟანრი — ვოდევილი; შესრულების ხერხი ფერწერაში — გრიზაილი; თუთიყუში — რა; ბოსტნეული მცენარე — პრასი; ღირებულება — ფასი; პირველი ქალი — ევა; ავსტრიული ფული — შილინგი; ტროპიკული მცენარე — ავოკადო; კიდობნის ამგები — ნოე; შეძახილი ცეკვაში — ასა; ქართველთა ალაგი საფრანგეთში — ლევილი; გლოვა — ზარი; კოლხთა მეფე — აიეტი; პოეტ იოსებ მამულაიშვილის ფსევდონიმი — გრიშაშვილი; რუკების კრებული — ატლასი; მაგნიტური რკინაქვა — მაგნეტიტი; წამლის ფორმა — აბი; ციხე-სიმაგრე თურქეთში — აგიპანდი; კარგი ამინდი — დარი; თარო კედელში — განჯინა; ივანე გოკიელის ოპერა — პატარა კახი; ლიანდაგის რკინა — რელსი; მცენარეთა ექიმი ბუნებაში — კოდალა; პირუტყვის ფიცრული სადგომი — ახორი; მამაკაცის სახელი — პეპო, ენერგიის მუდმივობის კანონის აღმომჩენი — მაიერი; შეძახილი სიმღერაში — ინდი; ცეცხლის ენა — ალი; დათა თუთაშხიას პერსონაჟი — ასინეთა; მე-5 ნოტი — სო; მწერალი სომერსეტ... — მოემი.

# 1841 წლის აჯანყება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

გაგრძელება დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №5-7




ჰასან ბეი თავდგირიძის გეგმის განხორციელებაში მონაწილეობაზე აჯანყებულებმა უარი თქვეს. შეიძლება აჯანყებულებს,თავადებსაც კი,ბოლომდე გააზრებული არ ჰქონდათ, თუ რა გადაულახავ სირთულეებთან იყო დაკავშირებული რუსეთ-ოსმალეთის ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) პირობების შეცვლა და ქუთაისის გუბერნიის გურიის მაზრის ერთი სოფლისაც კი ოსმალეთის შემადგენლობაში გადასვლა, თუნდაც ეს აჯანყებულების სურვილი ყოფილიყო. სამაგიეროდ, ყველა კარგად იცნობდა ჰასან ბეი თავდგირიძეს — ყაჩაღთა და ტყვეებით მოვაჭრეთა მფარველს. ეს თავისთავად გამორიცხავდა მის მიმართ გურიის მოსახლეობის ნდობას.

ლიხაურიდან დაძრული აჯანყებულები ოზურგეთს მიუახლოვდნენ, გადაწვეს საბაჟოსა და კარანტინის შენობები, ჩახერგეს ოზურგეთიდან **წმ. ნიკოლოზის სიმგრისაკენ** (შეკვეთილისაკენ) და ნაგომარითა და ჩოხატაურით **ქუთაისისაკენ** მიმავალი გზები. ოზურგეთისაკენ ჯარის გადასროლა რუსებს ამ ორი გზით შეეძლოთ. გურიის მაზრის უფროსს იმდენად მცირე ძალები ჰყავდა, რომ აჯანყებულებთან შებრძოლება ვერ გაბედა. ინიციატივა არც მეამბოხეებს გამოუჩენიათ. მათ, უკვე მეორედ, გვერდი აუარეს ოზურგეთს და **გურიანთის** თემისაკენ გაემართნენ. გურიანთაში მცხოვრები თავადი **გიორგი ნაკაშიძე** დიდი ხნიდან რუსეთის ხელისუფლებისადმი უსიტყვო მორჩილებას იჩენდა. მაზრის უფროსისაგან გაფრთხილებული გიორგი ნაკაშიძე თავისი რაზმით აჯანყებულებს ჩაუსაფრდა. შეტაკება დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ბრძოლაში დაიღუპნენ სახაზინო გლეხები **როსტომ მჟავანაძე** და **გოგია მენაბდე.**

1841 წლის 18 ივნისს აჯანყება მოედო **ჩოხატაურის** მახლობელ სოფლებს, ამბოხებულთა რიგები 600 კაცს ითვლიდა. ჩოხატაურში, საგუშაგოზე, კაპიტან **ღოღობერიძის** მეთაურობით რუსეთის ჯარის ერთი ასეული და გურიის მილიციის რაზმი იდგა. ღოღობერიძემ აჯანყებულებთან ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედა და საგუშაგოზე გამაგრდა. ჩოხატაურის სოფლებში აჯანყებას როსტომ და გიორგი მაშაკაშვილები ხელმძღვანელობდნენ.

**ხელისუფლების ღონისძიებანი აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. გურიაში**

აჯანყებულთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. თბილისში კავკასიის მთავარსარდალი და ქუთაისში საქართველო-იმერეთის სამხედრო გუბერნატორი დარწმუნდნენ, რომ გურიაში გლეხთა ჩვეულებრივი მღელვარება კი არა, აჯანყება დაიწყო. სანამ მოქმედების საგანგებო გეგმა შემუშავდებოდა, გურიის მაზრის უფროსი **იაცენკო** ცდილობდა წინ აღდგომოდა აჯანყების გავრცელებას. მან საქართველოს პირველი სახაზო ბატალიონის მეთაურს პოდპოლკოვნიკ **შეპელევს** სთხოვა სოფელ **ნაგომრის** საგუშაგოზე მდგარი კაზაკთა რაზმისათვის 250 ოფიცერი და ჯარისკაცი მიეშველებინა. შეპელევმა თხოვნა ვერ შეასრულა, რადგან 1841 წლის ივნისის დამდეგისათვის საქართველოს პირველ სახაზო ბატალიონში სულ 160 ოფიცერი და ჯარისკაცი ირიცხებოდა, რომელთა დისლოკაციის ადგილიდან დაძვრის უფლება ბატალიონის მეთაურს არ ჰქონდა. გურიაში აჯანყების დროისათვის საქართველო-იმერეთის გუბერნიის იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამხედრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი **ალექსეი ბრუსილოვი** დაღესტანში იმყოფებოდა, მას ცვლიდა პოდპოლკოვნიკი ჩერნიკოვი. გურიის მაზრის უფროსისაგან მიღებული შეტყობინების შემდეგ ჩერნიკოვმა 1841 წლის 3 ივნისს საქართველოს პირველი სახაზო ბატალიონის მესამე ასეულის მეთაურს პორუჩიკ **კოვალევსკის** უბრძანა, 140 ოფიცრითა და ჯარისკაცით **რედუტ კალედან** (ყულევიდან) ოზურგეთში გადასულიყო. თვითონ პოდპოლკოვნიკი ჩერნიკოვი საქართველოს მეორე სახაზო ბატალიონის 167 ოფიცრითა და ჯარისკაცით, დონის კაზაკთა მე-8 პოლკის 50 ცხენოსნით ქუთაისიდან გურიისაკენ გაემართა. მას დავალებული ჰქონდა აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის საზღვრამდე მისულიყო და დაედგინა, რა როლი შეასრულა ჰასან ბეი თავდგირიძემ რუსეთის წინააღმდეგ ჩოლოქის მარჯვენა ნაპირის სოფლების აჯანყებაში.

აჯანყების ჩახშობის მიზნით ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებანი ნაუცბათევი და არასაკმარისი აღმოჩნდა. აუცილებელი იყო, გურიაში გადასროლილი ჯარების გარდა, დამატებითი ძალებისა და არტილერიის მობილიზება.ამიტომ იყო, რომ თბილისის სამხედრო გუბერნატორმა **მიხაილ ბრაიკომ** კავკასიის მთავარსარდალ **ევგენი გოლოვინს** გურიის შემდეგ იმერეთში დაწყებული მღელვარების შესახებ აცნობა და ჯარის დამატებითი კონტინგენტი გამ-ოითხოვა. სანამ თბილისში გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, გურიის მაზრის უფროსმა **იაცენკომ** საქართველოს პირველი სახაზო ბატალიონის მეთაურ პოდპოლკ-ოვნიკ **შეპელევს** ამჯერად ოზურგეთში 50 ჯარისკაცისა და 1 ზარბაზნის გაგზავნა სთხოვა. ეს ის პერიოდი იყო,როდესაც აჯანყებულები სოფელ ლიხაურისაკენ მიემართებოდნენ. იაცენკოს აჯანყებულთა ლიხაურში შეშვება არ სურდა,რადგან ეს მახლობელი სოფლების აჯანყებაში ჩაბმას გამოიწვევდა. შეპელევი მიხვდა, რომ ამ ძალებით ვითარებას ვერ შეცვლიდა და ამჯერადაც დახმარებაზე უარი თქვა.

ქუთაისიდან გურიისაკენ მიმავალმა პოდპოლკოვნიკმა ჩერნიკოვმა ქუთაისის მაზრის უფროს **ლიაშენკოსაგან** შეიტყო, რომ გურიის მოსაზღვრე ქუთაისის მაზრის ოთხ სოფელშიც მღელვარება დაწყებულიყო. ჩერნიკოვი მიხვდა, რომ აუცილებელი იყო ქუთაისიდან გურიაში მიმავალი გზის დაცვა. 1841 წლის 4 ივნისს მდინარე რიონისა და მდინარე ცხენისწყლის შეერთების ადგილას არსებულ საგუშაგოზე მისულმა ჩერნიკოვმა გურიის მაზრის უფროს იაცენკოსა და საქართველოს პირველი სახაზო ბატალიონის უფროს პოდპოლკოვნიკ შეპელევისაგან გურიაში მიმდინარე აჯანყების შესახებ შეიტყო. შეპელევი ჩერნიკოვს სწერდა, რომ პირველ სახაზო ბატალიონს არც პროვიანტი ჰქონდა და არც მისი შევსების საშუალება. შეპელევი ბატალიონის შტაბის ზუგდიდიდან ოზურგეთში გადატანას ითხოვდა. გარდა ამისა, შეპელევმა ჩერნიკოვს აცნობა, რომ რედუტ-კალედან გამოძახებული პირველი სახაზო ბატალიონის მე-3 ასეული ჯერ კიდევ არ ჩანდა. პოდპოლკოვნიკმა ჩერნიკოვმა გააანალიზა ლიაშენკოს, შეპელევისა და იაცენკოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, გურიისაკენ ჯარის გადაადგილება შეაჩერა და მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა. ჩერნიკოვმა იაცენკოსაგან იცოდა, რომ აჯანყებულები იმერეთის მოსაზღვრე **საჯავახოს** თემში აპირებდნენ შეჭრას. ჩერნიკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა, საჯავახოს ხეობის გავლით **ჩოხატაურის** საგუშაგოსაკენ გაჭრილიყო. მან ქუთაისიდან სასწრაფოდ გამოიძახა მეორე სახაზო ბატალიონის 100 ქვეითი, ხოლო მე-19 საარტილერიო ბრიგადის მეთაურს 2 მსუბუქი ზარბაზანი მოსთხოვა. მეორე სახაზო ბატალიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელ მაიორ **კრინიცკის** ამდენი ჯარისკაცი არ ჰყავდა, ამიტომ მან იმერეთში სამხედრო გზის მშენებლობის უფროს მაიორ **ლობოდას** სთხოვა სამუშაოდან გაეთავისუფლებინა იქ დაკავებული ჯარისკაცების ნახევარი და სასწრაფოდ გაეგზავნა ქუთაისში. ლობოდამ თხოვნა დააკმაყოფილა.

პოდპოლკ-ოვნიკმა ჩერნიკოვმა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ქუთაისის მაზრის უფროს ლიაშენკოს და პირველი სახაზო ბატალიონის მეთაურ პოდპოლკოვნიკ შეპელევს აცნობა, ხოლო თვითონ გურ-იაში გადაწყვიტა გამგზავრება, რათა ადგილზე გასცნობოდა ვითარებას. ამ მიზნით ჩერნიკოვი, პირველ რიგში, გურიიდან იმერეთისაკენ მიმავალ სხვადასხვა წოდებისა და თანამდებობის ადამიანების გამოკითხვას შეუდგა. მალე პოდპოლკოვნიკი დარწმუნდა, რომ მთხრობელები ხშირად აჭარ-ბებდნენ, მათი მონათხრობი წმ. ნიკოლოზის (შეკვეთილის) სიმგრე ზოგჯერ რეალობიდან შორს იყო. ჩერნიკოვმა გა-დაწყვიტა თვითონ გამგზავრებულიყო ოზურგეთში. 1841 წლის 5 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ჩერნიკოვს გურიის მაზრის უფროსმა იაცენკომ აცნობა, რომ აჯანყებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ დამაიმედებელი ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩერნიკოვმა გადაწყვიტა გურიაში სრული სიმშვიდის დამყარებამდე ქვეითთა ასეულთან ერთად ცხენისწყლის საგუშაგოზე დარჩენილიყო. ჩერნიკოვი იმანაც გაამხნევა, რომ ქუთაისის მაზრის უფროს ლიაშენკოს და გურიის მაზრის უფროს იაცენკოს ცნობით, აჯანყებაში არ მონაწილეობდნენ საჯავახოსა და გურიის ერთ-ერთი ცნობილი თავადების — ერისთავების — გლეხები. მალე პოდპოლკოვნიკმა ჩერნიკოვმა სამოქმედო გეგმა შეცვალა და ქუთაისიდან მე-19 საარტილერიო ბრიგადის 2 ზარბაზნის მიღებისთანავე რიონზე გადასვლა და თავად **ერისთავების** მამულის გავლით **ჩოხატაურის** საგუშაგომდე მიღწევა გადაწყვიტა. ცხენისწყლის საგუშაგოსა და რიონის ფონის დაცვა მან საქართველოს მე-2 სახაზო ბატალიონის ინვალიდთა ასეულს (40 ჯარისკაცი) ჩააბარა. პოდპოლკოვნიკ ჩერნიკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა მოლაპარაკების გზით გლეხები აჯანყების შეწყვეტაზე დაეყოლიებინა. გლეხების დასამშვიდებლად ჯარის გამოყენებას ჩერნიკოვი მხოლოდ კავკასიის მთავარსარდლის ბრძანების მიღების შემდეგ აპირებდა.

კავკასიის მთავარსარ-და-ლმა **ევგენი გოლოვინმა** ქობულეთის ბეის ჰასან თავდგირიძის მიერ რუსეთ-ოსმა-ლეთის საზღვრის დარღვევისა და სო-ფელ ქაქუთის დაკავების ამბავი რომ გაიგო, ჩათვალა, რომ ვითარება საგანგაშო იყო და გადამჭრელი ზომების მიღებას საჭიროებდა. 1841 წლის 7 ივნისს ევგენი გოლოვინმა პოდპოლკოვნიკი ჩერნიკოვი გურიიდან გაიწვია და, რადგან საქართველო-იმერეთის გუბერნიის იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამხედრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი **ალექსეი** ბრუსილოვი დაღესტანში იმყოფებოდა, გურიაში მიმდინარე აჯანყების ჩახშობა ახალციხის ოლქის უფროსად ნამსახურევ პოლკოვნიკ **მოვსეს არღუთინსკი-დოლგორუკოვს** უბრძანა. არღუთინსკი ახალციხეში მსახურობდა, ფლობდა სომხურ და ქართულ ენებს, იცნობდა მოსახლეობის ადათ-წესებს. პოლკოვნიკ არღუთინსკის დაუქვემდებარეს საქართველოს პირველი და მეორე სახაზო ბატალიონები, ასევე მესამე სახაზო ბატალიონის ნაწილი, მის განკარგულებაში იყო რედუტ-კალეს გარნიზონიდან ადრე ოზურგეთში გადატანილი 2 ზარბაზანი. საჭიროების შემთხვევაში არღუთინსკის დაქვემდებარებაში გადავიდოდა სამეგრელოს ეგერთა პოლკის ერთი ასეული, რომელიც სურამიდან ახალციხის მიმართულებით გზის მშენებლობაზე იყო დაკავებული. გარდა ამისა, გოლოვინმა სამეგრელოს მთავარ **ლევან V დადიანს** უბრძანა არღუთინსკის განკარგულებაში სამეგრელოს მილიციის (სახალხო ლაშქრის) რაზმი (300 მებრძოლი) გაეგზავნა. სანამ სამეგრელოს მილიცია არღუთინსკის განკარგულებაში გადავიდოდა, მას უფლება მიეცა ახალციხის მილიცია გამოეყენებინა. არღუთინსკის დაქვემდებარებაში გადასულ სამხედრო ნაწილებს **გურიის რაზმი** ეწოდა. ევგენი გოლოვინმა კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მეთაურს გენერალმაიორ **ანდრეი სიმბორსკის** უბრძანა, ქართული პოლკის ერთი ბატალიონი ქუთაისში გაეგზავნა, რომელსაც არღუთინსკი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდა. არღუთინსკის ასევე უფლება მიეცა, მე-19 საარტილერიო ბრიგადიდან დამატებით გამოეთხოვა 2 ზარბაზანი. პოლკოვნიკ მოვსეს არღუთინსკის დაქვემდებარებაში გურიის რაზმის სახით საკმაოდ სერიოზული სამხედრო ძალა აღმოჩნდა, მაგრამ იგი პირადად საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ გენერალ-მაიორ **სემიონ კახანოვის** დაქვემდებარებაშიიმყოფებოდა. ამ უხერხულობის ნაწილობრივ აღმოფხვრის მიზნით თბილისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-ლეიტენანტმა **მიხაილ ბრაიკომ** სემიონ კახანოვს უბრძანა, მოვსეს არღუთინსკისთან ერთად გამგზავრებულიყო გურიაში.

ქართველ გრენადერთა პოლკის ორი ბატალიონი, რომლის ნაწილი გურიის რაზმის შემადგენლობაში ჩაირიცხა, **გორში** იდგა და მისი ორი ას-ეული საგუშაგო სამსახურითა და ყაზარმების მშენებლობით იყო დაკავებული. კიდევ ერთი ბატალიონი სოფელ **ჯავაში** იდგა, ორ-ნახევარი ასეული — სოფელ **კარალეთში,** ნახევარი ასეული — სოფელ **ჭალაში,** *ხოლო ორი ასეული* **— მტკვრის ხეობაში** (სურამსა და ახალციხეს შორის). ამ ძალების თავმოყრა დიდ დროს ითხოვდა. ამიტომ იყო, რომ კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მეთაურმა გენერალ-მაიორმა ანდრეი სიმბორსკიმ 1841 წლის 12 ივნისს ქართველ გრენადერთა პოლკიდან ქუთაისში მხოლოდ მე-2 ბატალიონის 3 ასეული (450 ოფიცერი და ჯარისკაცი) გაგზავნა, რომლებიც გურიაში 20 ივნისისათვის უნდა ჩასულიყვნენ. ამასთან ერთად, გენერალმა სიმბორსკიმ ევგენი გოლოვინს სთხოვა, ქართველ გრენადერთა პოლკიდან დანარჩენი ასეულები გურიაში აღარ გადაესროლათ. ამას გენერალი იმით ხსნიდა, რომ სამი ასეულის გურიაში გაგზავნის გამო შეჩერდა პოლკის შტაბისათვის შენობის მშენებლობა. ძლიერ სიცხეში თივის დამზადებამ ჯარისკაცები მასობრივად დააავადა, რამაც თავისთავად გამოიწვია ყაზარმების მშენებლობაზე მუშახელის ნაკლებობა.

ახალციხეში მყოფმა პოლკოვნიკმა **მოვსეს არღუთინსკიმ** კავკასიის მთავარსარდალ გოლოვინისაგან მიიღო მიწერილობა, რომლის ძალითაც: 1. საქართველოს მესამე სახაზო ბატალიონის მეთაურს მაიორ **ვოინოვს** პირველი და მეორე სახაზო ბატალიონების გასაძლიერებლად უნდა გაეგზავნა 150 ჯარისკაცი; 2. სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ასეული მზად უნდა ყოფილიყო გურიაში შესაჭრელად; 3. ახალციხის მაზრის უფროსს შტაბს-კაპიტან **ალი ბეის** მეთაურობით საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ჰყოლოდა 300 მილიციელი. მისთვის დაქვემდებარებულ ძალებს არღუთინსკი საკმარისად არ თვლიდა, ამიტომ ევგენი გოლოვინს იმერეთ-გურიის საზღვარზე დამატებით 1 ქვეითი ბატალიონის განლაგება სთხოვა. 1841 წლის 10 ივნისს პოლკოვნიკი არღუთინსკი ახალციხიდან **ოზურგეთისაკენ** გაემართა. გოლოვინმა არღუთინსკის თხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან 1841 წლის 5 ივნისს გურიის მაზრის უფროსმა მას აცნობა, რომ აჯანყებულებმა დაშლა დაიწყეს. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, გოლოვინმა გურიის რაზმი არათუ გაზარდა, არამედ კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მეთაურს გენერალ-მაიორ **ანდრეი სიმბორსკის** უბრძანა, 3 ასეულის მეტი ქუთაისში აღარ გაეგზავნა. იმავდროულად კავკასიის მთავარსარდალმა ბრძანება გასცა საქართველოს მეორე სახაზო ბატალიონის 100 ჯარისკაცი გურიის რაზმის შემადგენლობაში აღარ გაეგზავნათ და იმერეთში სამხედრო გზის მშენებლობაზე დაებრუნებინათ. 1841 წლის 10 ივნისს ოზურგეთში ჩასული პოლკოვნიკი არღუთინსკი დარწმუნდა, რომ გურიის რაზმის გაზრდა მართლაც არ იყო აუცილებელი, რადგან ბევრ სოფელში აჯანყებულები შინ დაბრუნებულიყვნენ. 15 ივნისს დაღესტნიდან დაბრუნდა საქართველო-იმერეთის გუბერნიის იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს-სამხედრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი **ალექსეი ბრუსილოვი.** ბრუსილოვმა არღუთინსკის გადასცა გოლოვინის ბრძანება, რომლის მიხედვითაც გურიაში აჯანყების ჩასახშობად მობილიზებული ჯარის ნაწილები ამიერიდან მას ექვემდებარებოდა, ხოლო არღუთინსკი ახალციხეში უნდა დაბრუნებულიყო.

**(საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918, გვ. 506-509)**

**ვახტანგ გურული**

**(გაგრძელება იქნება)**

*პრემიერა*

# „პატარა უფლისწული“ ოზურგეთის თეატრში




ოზურგეთის თეატრი ყველა დროის ყველაზე რომანტიკულ და ყველა ასაკის მაყურებლისთვის საყვარელ ანტუან დე სანტ ეგზუპერის „პატარა უფლისწულზე“ მუშაობს. სპექტაკლს ახალგაზრდა რეჟისორი **მამუკა ბაბილოძე** დგამს, რომელმაც ოზურგეთის თეატრში უკვე არაერთი საინტერესო და ექსპერიმენტული პროექტი განახორციელა.

ახალგაზრდა რეჟისორი ცნობილი ნაწარმოების სულ სხვა, გამორჩეულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ამ ჩანაფიქრს მამუკა ბაბილოძე ჯერ არ ამხელს და მაყურებელს სიურპრიზად უტოვებს. რეჟისორის თქმით, სპექტაკლი ყველა თაობის მაყურებელზეა გათვლილი, ისე როგორც თავად ეგზუპერის ნაწარმოები, ვინაიდან ნაწარმოები ჰუმანურობაზე, მეგობრობაზე მოგვითხრობს.

სპექტაკლის მთავარი გმირი ეძებს მეგობარს, რომლითაც შეივსებს მარტოობით გამოწვეულ სიცარიელეს, საამისოდ ადამიანებს ბევრი საშუალება აქვთ, მაგრამ მათ გულით ხედვა უნდა ისწავლონ. სწორედ ეს თემა გაყვება ლაიტმოტივად მთელ სპექტაკლს - დასძინა რეჟისორმა. სპექტაკლის მუსიკალურად გაფორმება თავად რეჟისორს ეკუთვნის, მასთან მუშაობს მხატვარი ეკატერინე ოსტროვსკი. მთავარ როლებს ასრულებენ: გიორგი დოლიძე, გიორგი ჩავლეიშვილი, ანი გოდერძიშვილი, გენადი ნიკოლაიშვილი, გიორგი ფუტკარაძე, კობა ახალაძე და ლევან საღინაძე.

პრემიერა თებერვლის ბოლოს არის ჩანიშნული.

**ლია კილაძე**

# მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ვეტერან მოჭადრაკეთა (სენიორთა) შორის



ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა სენიორ მოჭადრაკეთა მუნიციპალური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც 60 წელს გადაცილებული 10 მოჭადრაკე ღებულობდა მონაწილეობას. შეჯიბრება, რომელიც წრიული სისტემით წარიმართა საინტერესო იმით გამოდგა, რომ გათამაშებული 45 პარტიიდან არც ერთი არ დამთავრებულა ყაიმით. ჩემპი-ონატის ეკვადორზე გამოიკვეთა 5-6 მოჭადრაკე, რომლებსაც საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში რეალური შანსები გააჩნდათ. ეს შანსები ყველაზე უკეთ **რეზული მჟავანაძემ** გამოიყენა, რომელმაც, ერთის გარდა, ყველოა პარტია მოიგო და ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად მოიპოვა. რაც შეეხება დანარჩენ საპრიზო ადგილებს, აქაც მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, სამმა მოჭადრაკემ **ვოვა ტაკიძემ, ანზორ ქუტიძემ** და **ვოვა ქარჩავამ** ერთნაირი ქუ-ლებით II-IV საპრიზო ადგილები გაიყო.

ჩემპიონი და პრიზიორი მოჭადრაკეები სპეციალური დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ, რომელიც მათ შეჯიბრების ორგანიზატორმა **ზურაბ ანდღულაძემ** საზეიმო ვითარებაში გადასცა.

# ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის“ კულტურის ცენტრმა გაიმარჯვა




ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ინტელექტ-თამაშების ზამთრის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში 9 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვებული **კულტურის ცენტრის** გუნდი გახდა. მე-2 და მე-3 ადგილები კი **სახელმწიფო თეატრისა** და **სურსათის ეროვნული სააგენტოს** გუნდებმა გაინაწილეს.

*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ისტორიული მუზეუმის ერთობლივი პროექტის „მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია“ გამარჯვებული*

# როგორ ვიცნობ ოზურგეთს

## მე მიყვარს ჩემი მხარე, ჩემი მიწა-წყალი, ჩემი პატარა, მაგრამ საოცარი გურია. მე მიყვარს ოზურგეთი და ვამაყობ ამით



გურიელების სახლი

გურიის სამთავროს, რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ, 1840 წელს შეიქმნა გურიის მაზრა, ხოლო 1846 წლიდან ეწოდა ოზურგეთის მაზრა. ოზურგეთი წყაროებში პირველად იხსენიება 15-78 წლიდან. იმართებოდა საპოლიციო წესით. 1896 წელს ჩატარდა პირველი თვითმმართველობის არჩევნები ოზურგეთში.

როგორ გამოიყურებოდა მაშინ ოზურგეთის ცენტრი? და რა არის დღეს შემორჩენილი? 1.ოზურგეთის ისტორიული ძეგლებიდან უძველესია ოზურგეთის აბანოები, (გურიელების აბანოები); 2.ჭადრების ბაღი, შოტლანდიელ იაკობ მარის სახელს უკავშირდება. 1822 წელს ბაღი ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს გაფართოვდა. 3. შემორჩენილია 1873 წელს დიმიტრი გურიელის მიერ აშენებული სასახლე, სადაც ამჟამად შემოქმედის ეპარქიაა. 5.კი გურიელების ის სახლი ,რომლის შესახებაც ვეცადეთ დაგვედგინა ისტორია.სახლი თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. ის დგას დიმიტრი გურიელის სასახლის გვერდით. დიმიტრი გურიელი 1812-1882 წწ. გურიელების ფეოდალური გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი. 1875 წ-ში. სახლი იყო გურიელთა საზაფხულო საცხოვრებელი. შენობა თავისი არქიტექტურითა და მდებარეობით არის არაჩვეულებრივი საცხოვრებელი ზაფხულის ცხელ დღეებში, თავისი გრილი ოთახებითა და სარდაფებით. ეზოს შესასვლელში არის გადახურული ჭიშკარი, ასეთი ჭიშკრები გათვალისწინებული იყო, წვიმასა და თოვლში დაცული ყოფილიყო, ჭიშკართან მოსული სტუმარი, მომსვლელი ან მთხოვნელი. ეზოში არის ბაღი და წყარო. შენობას ახლაც ამშვენებს უძველესი აივანი, თავისი ჩუქურთმებით და რიკულებით. სახლს აქვს არაჩვეულებრივი ღვინის მარანი .აქ არის უძველესი თიხის ჭურები, სადაც გურიელები ღვინოს ინახავდნენ. ჭურები იყო სხვადასხვა ტევადობის. გურიაში, როგორც წესი, მარანი ეზოებშია მოწყობილი. მაგრამ, გურიელებს სარდაფში ჰქონდათ მოწყობილი მარანი. სადაც სიგრილე იყო და ღვინოც თავს ინახავდა დიდხანს. ჭურის ტევადობას ფუთობით ზომავდნენ. მაგალითად 15-ფუთიანი, 25ო ფუთიანი და ასე შემდეგ. სახლს გააჩნდა საჯინიბო, სადაც როგორც პატრონთა ცხენები, ასევე სტუმართა ცხენებიც იყო მოთავსებული. იქვე საჯალაბო ოთახი შინამოსამსახურეებისთვის.სახლის მშვენება მაინც არის აივანი, თავისი ორნამენტებით. სახლის მშენებლობაზე გამოყენებულია ხის უიშვიათესი ჯიშები: ხე ტიტა-მაკაგონი ჭერში, წაბლი და მუხა. ეს სახლი ეკუთვნოდა გურიელების შემდეგ, ზაქარია დუმბაძეს, რომელიც საბჭოს თავმჯდომარე იყო, მერე ვაშაყმაძეებს და ეხლა ჩხიკვიშვილებს.

ამ სახლთან დაკავშირებულია ერთი სევდიანი ისტორია, რომელიც უკავშირდება ელენე გურიელს.კონსტანტინე გურიელის ასული ელენე, საქართველოში მოგზაურობის დროს გაიცნო, ლევ ტოლსტოის შვილმა ანდრეიმ.მას უმასპინძლა ბათუმში კოლია ნაკაშიძემ და ექიმ ნიკო ელიავას ოჯახში, გაიცნო ელენე ანდრიამ. რამდენიმე დღეში, შეყვარებულმა ანდრიამ ცოლობა სთხოვა ელენეს. ელენემ მშობლებს აცნობა, ანდრეიც ჩამოვიდა ოზურგეთში და დაიწყო საქორწილო სამზადისი. ორი კვირის შემდეგ, ანდრეი წერს წერილს ელენეს, სხვა შემიყვარდა და ის მომყავს ცოლადო. გულნატკენმა ელენემ პისტოლეტი დაიხალა და ერთი წლის წვალების შემდეგ, მშვენიერი ელენე გარდაიცვალა.

ცოტა რამ თვითმმართველობის შესახებ. როცა 1896 წელს ოზურგეთი თვითმმართველი ქალაქი გახდა, მაშინდელმა მერმა და საკრებულომ ბევრი რამ გააკეთეს ქალაქისთვის. პირველი მერი გახლდათ თავდგირიძე, საკრებულო შედგებოდა 15 ადამიანისგან. მათი ბიუჯეტი შეადგენდა 400 თუმანს. მოეწყო სამხედრო ჰოსპიტალი და აფთიაქი., ბაზარი დვაბზუდან ოზურგეთში გადმოიტანეს. გაიხსნა ორი სასულიერო სასწავლებელი.საჯარო წიგნსაცავი, თეატრის შენობა 1914 წელს შეიძინეს, გერმანე გოგოტიძის თაოსნობით, მოეწყო წიგნსაცავი, გაშენდა ბაღი, გაიხსნა სტამბა. ქალაქში 1870 წლისათვის ოზურგეთში,151 სავაჭრო ობიექტი იყო, 4 წისქვილი, 2 ქარხანა, ღვინის ერთი საწარმო. 1888 წელს ოზურგეთში იდგა 258 სახლი, მოსახლეობა 4710 სული.

ოზურგეთში იმოგზაურა დიუბუა დე მონპერიემ 1833 წელს, დიმიტრი ბაქრაძემ, 1874 წელს,სერგო მესხმა 1878 წელს, თედო სახოკიამ 1896 წელს. თედო სახოკია აღფრთოვანებული იყო, ოზურგეთის საკრებულოს აქტიურობის გამო.

ლიხაურის საჯარო სკოლის
მე-11 კლასის მოსწავლეები
**ელენე ჯაფარიძე,**
**მარიამ ცეცხლაძე,**



უძველესი ჭის ნარჩენები

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცირე წვიმა -1+4 | თოვლი, -2+3 | მცირე თოვლი, 0+3 | მცირე თოვლი, -2+3 | ღრუბელი, 0+5 | მცირე წვიმა -2+1 | მცირე თოვლი, -2+2 |
| 25 თებერვალი ორშაბათი | 26 თებერვალი სამშაბათი | 27 თებერვალი ოთხშაბათი | 28 თებერვალი ხუთშაბათი | 1 მარტი პარასკევი | 2 მარტი შაბათი | 3 მარტი კვირა |